გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-01-25 **27 მარტი, 2025 წელი,**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე - მირანდა ერემაძე (მომხსენებელი),
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ი. ბ-ე /სიითი №/

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წარმომადგენელი - მ.ბ-ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 1- ნოემბრის №0----- გადაწყვეტილება

საჩივრის მოთხოვნა - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 1 ნოემბრის №0----- გადაწყვეტილების გაუქმება და გ. ხ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი:
1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2024 წლის 16 აგვისტოს საჩივრით მიმართა გ. ხ-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ბ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.
1.2 მიმართვის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ ი. ბ-სთან საადვოკატო

მომსახურების შესახებ ხელშეკრულება წერილობით გააფორმა 2023 წლის პირველ აგვისტოს. მხარეთა შეთანხმებით, ადვოკატს უნდა წარემართა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავა, რისთვისაც მომჩივანმა ადვოკატს გაუფორმა მინდობილობა საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილებით და გადასცა ჰონორარი - 3000 ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა სასამართლოს სარჩელით მიმართა 2023 წლის 9 აგვისტოს, თუმცა, როგორც მოგვიანებით შეიტყო, ი. ბ-ემ სარჩელი არ წარადგინა განსჯად სასამართლოში, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი გადააგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში.

1.4 მომჩივნის განმარტებით, ადვოკატმა არ შეუთანხმა სარჩელის შინაარსი, სამოქმედო სტრატეგია და არ გააცნო საქმის მასალები. ამასთან, ადვოკატის მიერ წარდგენილ სარჩელს არ ერთოდა სადავო ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები. მომჩივნის პრეტენზიით, ადვოკატმა გარდა იმისა, რომ კლიენტს არ გამოჰკითხა საქმის ფაქტები და არ შეეცადა მტკიცებულებების მოპოვებას, არც მოწმეთა გამოკითხვა არ მოისურვა და მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოწმეებს პირდაპირ სასამართლო პროცესზე გამოჰკითხავდა. მისივე განცხადებით, ადვოკატმა საქმე არაკვალიფიციურად წარმართა, მასთან დაკავშირებაც გართულებული იყო და მოგვიანებით შეიტყო, რომ ადვოკატმა მისი საქმისწარმოება სხვა პირს გადააბარა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ი. ბ-ს გულგრილი დამოკიდებულის გამო, ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია, რომ წყვეტდა მასთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას და მოსთხოვა გადახდილი ჰონორარის დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა უარი განუცხადა იმ არგუმენტით, რომ აღნიშნულს არ ითვალისწინებდა მათ შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულება და ადვოკატს გამოუმუშავებელი ავანსი კლიენტისთვის დღემდე არ დაუბრუნებია.

2. ადვოკატის განმარტებით, ის კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებებს, რასაც ადასტურებს მის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი, კლიენტთან მიმოწერის „სქრინები“. ის კლიენტის საქმეს ბოლომდე მიიყვანდა, თუმცა ვალდებულებების ბოლომდე შესრულებამდე კლიენტმა თვითნებურად შეუწყვიტა ხელშეკრულება. ადვოკატმა განხილვის კოლეგიის 2024 წლის 1- ნოემბრის ონლაინსხდომაზე დაადასტურა, რომ მას კლიენტისთვის გადახდილი ჰონორარი არ დაუბრუნებია, მეტიც, მას მიადგა ზიანი, ვინაიდან არ მიეცა შესაძლებლობა, საქმის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მიეღო შეთანხმებული წარმატების ჰონორარი და რადგან კლიენტმა თვითნებურად შეწყვიტა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, მას არ ეკისრებოდა გამოუმუშავებელი ავანსის დაბრუნების ვალდებულება.

3. **2023 წლის 23 სექტემბერს პირველმა საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. ბ-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.**

3.1 საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ი. ბ-მ დაარღვია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს გამოუმუშავებელი ავანსის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი.

3.2. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ ვერ დაადგინა ადვოკატ ი. ბ-ს მიერ კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობისა და კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულების დარღვევა (ადვოკატის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.5 და 8.6) და ამ ნაწილში, ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4 გ. ხ-ა ადვოკატ ი. ბ-ს საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა 2023 წლის პირველ აგვისტოს. ადვოკატს თბილისის საქალაქო სასამართლოში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავა უნდა ეწარმოებინა, რომლის საფასურად განისაზღვრა 3000 ლარი.
5. გ. ხ-სა და ადვოკატ ი. ბ-ს შორის 2023 წლის პირველ აგვისტოს დადებულია საადვოკატო მომსახურების N02/028 შეთანხმება.
6. გ. ხ-ა ადვოკატ ი. ბ-ს 2023 წლის პირველ აგვისტოს სრულად გადაუხადა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი - 3000 ლარი.
7. მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა კლიენტის სურვილით, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულებამდე, რაც გ. ხ-ა, 2024 წლის 29 ივლისს მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა ადვოკატ ი. ბ-ს.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე დადგენილ სადავო ფაქტად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8.განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ი. ბ-მ სრულად მიღებული ავანსიდან (3000ლარი) არ დაუბრუნა კლიენტს გამოუმუშავებელი თანხა, შესაბამისად, ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის საქმეზე გამოუმუშავებელი ავანსის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, ან, რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმისწარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს, გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

9. **ეთიკის კომისიამ დაადგინა, ადვოკატ ი. ბ-ს მიერ გამოუმუშავებელი ავანსის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15)**,
10. **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 1- ნოემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე N0-----, დადგინდა ადვოკატ ი. ბ-ს**

მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.

ადვოკატის საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

11. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 1- ნოემბრის №0----- გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, კანონით დადგენილ ვადის დაცვით, გაასაჩივრა ადვოკატმა ი. ბ-მ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და გ. ხ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

11.1 საჩივრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე უტყუარი მტკიცებულებები და გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა სწორი და სათანადო შეფასების გარეშე.

11.2 ადვოკატის განმარტებით, მისი მხრიდან ვალდებულება შესრულებულია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად და არ არსებობდა ვალდებულების შეუსრულებლობის მოტივით, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. გ. ხ-ა საკუთარი ინიციატივით შეწყვიტა ხელშეკრულება და მის მიერ დასახელებული ფაქტები არის გამოგონილი, შედეგის მისაღწევად. სარჩელი, რომლითაც იგი კლიენტის ნებას გამოხატავდა, მხარესთან შეთანხმებით, წარდგენილია კვალიფიციური ფორმით და სასამართლოს მიერ მიღებულია წარმოებაში, ასევე, სასამართლოში მისი მხრიდან წარდგენილია ყველა არსებული და საჭირო მტკიცებულებები. შესაბამისად, კლიენტის მიერ მითითებული პრეტენზიები უსაფუძვლოა და იგი მოიქცა არაკეთილსინდისიერად და მოითხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. რაც შეეხება მიღებული ჰონორარის ოდენობას, ის წარმოადგენს გაწეული კონსულტაციების, მომზადებული სარჩელისა და საქმეზე გაღებული დროის გათვალისწინებით გაწეული შრომის საზღაურს.

11.3 ადვოკატის მოსაზრებით, საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კომისიას დასაბუთებულად განუმარტა, რომ არ არსებობს საქმეში გამოუმუშავებელი ჰონორარი, ვინაიდან მომსახურებაზე შეთანხმების დროს, გათვალისწინებული იქნა, ის გარემოება, რომ კლიენტს იმთავითვე არ ჰქონდა მეტის გადახდის შესაძლებლობა, რის გამოც შეიმუშავა სამომავლო გადახდა, რაც გულისხმობდა: სასამართლოს მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კლიენტს მისთვის უნდა გადაეხადა წარმატების ჰონორარი, მიღებული ქონების 4 პროცენტი. შესაბამისად, ჰონორარი დეკომპენსირებული იყო წინსწრებით და სამომავლო გადასახდელი თანხით. ადვოკატთა ეთიკის კომისიამ კი, საჩივრის ავტორს შესაძლებლობა მისცა და წაახალისა დაეზარალებინა, როგორც მორალურად, ასევე მატერიალურადაც.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პოზიცია:

12. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა გაიზიარა №0----- დისციპლინურ საქმეზე ეთიკის კომისიის 2024 წლის 1- ნოემბრის გადაწყვეტილება, როგორც სამართლებრივი დასაბუთების, ასევე - გამოყენებული სახდელის ნაწილში

და ადვოკატის საჩივრის უარყოფა მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ ი. ბ-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 1- ნოემბრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სადისციპლინო პალატა, უპირველესად, განმარტავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა საჩივრის ავტორს მის მიერ განხორციელებული შედავების გათვალისწინებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის რელევანტურობას განუმარტავს.

15. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას შეეხება, რომ ეთიკის კომისიამ დაადგინა მის მიერ გამოუმუშავებელი ავანსის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევა, მომჩივნის განმარტებით, ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე უტყუარი მტკიცებულებები და რადგან ვალდებულება შესრულებულია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ვალდებულების შეუსრულებლობის მოტივით არ არებობდა, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. გ. ხ-ა საკუთარი ინიციატივით შეწყვიტა ხელშეკრულება და შედეგის მისაღწევად მის მიერ დასახელებული ფაქტები არის გამოგონილი. შესაბამისად, კლიენტის მიერ მითითებული პრეტენზიები უსაფუძვლოა, რაც შეეხება მიღებული ჰონორარის ოდენობას, ესაა კონსულტაციების, მომზადებული სარჩელისა და დროის გათვალისწინებით, შრომის საზღაური. კლიენტის ქმედებით კი მას მიადგა ზიანი, ვინაიდან, ვადამდე ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, შეთანხმებით გათვალისწინებული წარმატების ჰონორარი ვერ მიიღო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო გარემოებათა სწორი და სათანადო შეფასების გარეშე და უსაფუძვლოდ დააკისრა სახდელი.

16. **შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის - გაფრთხილების მართლზომიერება. ამ მხრივ კი, სადავო შემთხვევაში შეფასების საგანია დაირღვა თუ არა ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ავანსის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.**

17. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია სადავო საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სისწორის შესახებ ადვოკატ ი. ბ-ს საჩივარში კვალიფიციური შედავება განხორციელებული არ არის, რაც სადისციპლინო პალატას მათ სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს შეუქმნიდა. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

18. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატ - ი. ბ-ესა და კლიენტ გ. ხ-ს შორის 2023 წლის პირველ აგვისტოს საადვოკატო მომსახურების თაობაზე წერილობითი შეთანხმება გაფორმდა. შეთანხმების საგანს წარმოადგენდა, თბილისის საქალაქო სასამართლოში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ გრიგოლეთში არსებულ), უძრავ ნივთზე, სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებით დავაზე იურიდიული დახმარების გაწევა, რომლის საფასურიც განისაზღვრა - 3000 (სამი ათასი) ათასი ლარით. რომელიც გადახდილ იქნა შეთანხმების დადებისთანავე და საქმის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში წარმატების ჰონორარით.

19. ასევე დადგენილია, რომ მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა კლიენტის სურვილით, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულებამდე, რაც გ. ხ-ა, 2024 წლის 29 ივლისს მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა ადვოკატ ი. ბ-ს.

20. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია. ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.

21. განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატა იზიარებს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ გ. ხ-ა და ადვოკატ ი. ბ-ს შორის 01.08.2023. წლის შეთანხმების თანახმად, წარმომადგენელს ეკისრებოდა მარწმუნებლისათვის იურიდიული დახმარების გაწევა საქალაქო სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა დასრულდა გ. ხ-ს ნების საფუძველზე, ადვოკატის მერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე, პირველ ინსტანციაში სასამართლო პროცესზე კლიენტის წარმომადგენლობამდე და მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულებისას, ი. ბ-ს ნაწილობრივ გაწეული ჰქონდა საადვოკატო მომსახურება, ხოლო კლიენტის ნებიდან გამომდინარე, ადვოკატმა სრულად ვერ შეძლო მისთვის საადვოკატო მომსახურების გაგრძელება, პროფესიული ეთიკის სტანდარტები ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, ურთიერთობის შეწყვეტისას, დაიტოვოს კლიენტისაგან წინასწარ მიღებული ავანსის მხოლოდ ის ოდენობა, რომელიც მან გამოიმუშავა, ხოლო დანარჩენი ნაწილი გონივრული ვადის დაცვით დაუბრუნოს კლიენტს. იმის მიუხედავად, რომ ადვოკატს აღნიშნულ საქმეზე, შესაძლოა, ძირითადი მოქმედებები შესრულებული ჰქონოდა, ადვოკატთა ეთიკის

კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად ეკისრებოდა ვალდებულება, გამოეთვალა კლიენტის მიერ მიღებული ჰონორარის ის ნაწილი, რა ნაწილიც გამოიმუშავა და გამოუმუშავებელი ავანსი დაებრუნებინა გ. ხ-ს.

22. სადისციპლინო პალატა ამახვილებს ყურადღებას მასზე, რომ უშუალოდ ამ საკითხზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა (იხ.:დს-შ/17-16).

23. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე, რაც მნიშვნელოვანია კლიენტისთვის. ხოლო „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის საქმიანობის ანაზღაურების წესსა და პირობებს, ადგენს კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, კლიენტისათვის ფულადი სახსრის დაბრუნების ვალდებულებას გასამრჯელოს გამოქვითვით.

24. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის შედავებას იმის შესახებ, რომ მას არ გააჩნდა ვალდებულება ავანსის დაბრუნებისა, ვინაიდან აღნიშნული 3000 (სამი ათასი) ლარი წარმოადგენდა მის მიერ სრულად გამომუშავებულ თანხას. პალატა მიუთითებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტზე, სადაც ცხადადაა განსაზღვრული, რომ, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, ან, რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმისწარმოებისას. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს, გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და ხარჯი. აღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს, შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს, მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებსა და საზოგადოებაში ადვოკატის როლისა და ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან, იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით და თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ი. ბ-ს მიერ დარღვეულია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 პუნქტის მოთხოვნა.

26. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-

ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

27. პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ი. ბ-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნა. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - გაფრთხილებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომების შინაარსი, სიმძიმე და დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესაბამისია.

28. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ ი. ბ-ს საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ი. ბ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 1- ნოემბრის №0----- გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **მირანდა ერემაძე**

მოსამართლეები: **თეა ძიმისტარაშვილი**

გოჩა აბუსერიძე